გიორგი მალაშხია

სიმდიდრე და კეთილდღეობა

რა კარგი იქნებოდა, თუ ყველა
სახელმწიფოში იარსებებდა
ჭეშმარიტი შეხედულება სიმდიდრეზე.
პლატონი

გიორგი მალაშხია
სტუ-ს პროფესორი (ემერიტუსი)

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია სიმდიდრის შექმნისა და ზრდის ახალი, ალტერნატიული კონცეფცია. ნაჩვენებია სიმდიდრის შექმნაში სრულიად და ნაწილობრივ უსდასყიდლო სოციალური ენერგიის წყაროთა: ბუნებრივი რესურსების - მზის ენერგიის, კლიმატის, მიწის ნაყოფიერების, წიაღისეული სიმდიდრის, ფლორის ფაუნის, ჰიდროენერგიის და სხვ., ასევე ანთროპოგენური - გამოყენების პროცესში უქრობადი, წინა თაობებისაგან გადმოცემული და ახლად მიღებული ცოდნის, გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ინოვაციური აზრის მონაწილეობა და როლი სიმდიდრის წარმოებაში. დამტკიცებულია სიმდიდრის ზრდა, მოგების - დანახარჯებზე მეტად მიღებული დამატებული პროდუქტის წარმოქმნა სულ უფრო მეტი მასშტაბით აღნიშნული უსასყიდლო რესურსების შრომასა და წარმოების საშუალებებთან შეერთებით. დასაბუთებულია, რომ უსასყიდლო სოციალური ენერგიის მზარდი მასშტაბით ამოქმედების და კაპიტალური (გრძელვადიანი მოხმარების) დოვლათის გამოყენების დროის წარმოების დროზე რამდენჯერმე გადამეტებისას, ასევე საზოგადოების საწარმოო ძალთა სამომხამრებლო ძალებზე ჭარბობის წყალობით სიმდიდრის ზრდის ტემპი აღემატება მისი შექმნის ტემპს. ამაში გამოიხატება სიმდიდრის ზრდის კანონი. ნაჩვენებია სიმდიდრის ზრდის მიმართ საერთო კეთილდღეობის ჩამორჩენა სიმდიდრის უსამართლო განაწილების, მოსახლეობის მეტისმეტი ქონებრივი უთანაბრობის, მოხმარების არარაციონალურობის, ასევე იმის გამო, რომ არსებობს უქმი ეკონომიკა, რომელსაც არ მოაქვს რეალური სარგებლობა.

საკვანძო სიტყვები: სიმდიდრე; სოციალური ენერგია; უსასყიდლო რესურსები; უსასყიდლო სოციალური ენერგია; დამატებული პროდუქტი; სიმდიდრის დაგროვების კანონი; კეთილდღეობა; უქმი ეკონომიკა.

ძირითადი ტექსტი

სიმდიდრე როგორც ფართო განსჯის საგანი

სიმდიდრე უძველესი დროიდან იყო მეცნიერული კვლევის საგანი. არსებობს მრავალი კლასიკური წიგნი, რომლებიც მიძღვნილია სიმდიდრის შექმნის, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ფუნდამენტური პრობლემებისადმი. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში მე-5- მე-4 სს. ჩვენს ერამდე **ქსენოფონტი** ნაშრომებში ,,საოჯახო მეურნეობა“ და ,,გადასახადების შესახებ“ ფაქტობრივად იკვლევდა სინდიდრის წარმოებისა და გადიდების, მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორებს. ძველი რომაელი მოაზროვნეების ნაშრომები , კერძოდ **კატონის** ,, მიწათმოქმედება “ და **ვარონის** ,,სოფლის მეურნეობა“ მიძღვნილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების - მაშინდელი სიმდიდრის ძირითადი ნაწილის წარმოების ორგანიზაციისადმი. მე-18 საუკუნეში გამოისცა ფრანგი ეკონომისტისა და ფილოსოფოსის **ა. ტიურგოს** წიგნი ,,განსჯა სიმდიდრის შექმნასა და განაწილებაზე“. სიმდიდრის სხვასასხვა ასპექტს ეხება დიდი ინგლისელი ეკონომისტისა და ფილოსოფოსის **ადამ სმიტის** (მე-18 ს.) ნაშრომები: ,, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ “ და ,,ზნეობრივ გრძნობათა თეორია“ . დიდი ეკონომისტი **დ. რიკარდო** სხვადასხვა კუთხით განიხილავდა სიმდიდრის შექმნისა და განაწილების საკითხებს. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსმა **ჟ. ბ. სეიმ** შეიმუშავა წარმოების ფაქტორებსა და დოვლათის განაწილების ორიგინალური თეორია. დიდმა თეორეტიკოსმა **დ. მილმა** გააღრმავა სიმდიდრის შექმნისა და განაწილების ფაქტორების თეორია. სიმდიდრე, მისი ზრდის ფაქტორები, განაწილება და საზოგადოებისათვის გამოყენების შედეგები სხვადასხვა ასპექტით გამოკვლეულია **კ. მარქ-**

სის მრავალტომიან წიგნში ,,კაპიტალი“ და სხვა ნაშრომებში. მე-19 ს. ბოლოს ამერიკელმა ეკონომისტმა **ჯ. კლარკმა** სიმდიდრეს ორი მაშრომი მიუძღვნა: ,,სიმდიდრის ფილოსოფია“ და ,,სიმდიდრის განაწილება“, რომლებშიც განხილულია სიმდიდრის შექმნისა და განაწილების საკვანძო საკითხები. მე-20 საუკუნეში სიმდიდრის გარშემო შექმნლ ნაშრომებს შორის საგულისხმოა **ა. პიგუს** ,, სიმდიდრე დ აკეთილდღეობა“ და ა. შ. სხვადასხვა დროს სიმდიდრის თემა დიდ ადგილს იჭერდა ფილოსოფიური, სოციოლოგიური თუ მხატვრული აზროვნების სფეროში.

ჩვენს დროში სიმდიდრისადმი მიძღვნილია მეცნიეული, მეცნიერულ-პოპულარული, პუბლიცისტური, მხატვრული თხზულებების უზარმაზარი რაოდენობა. ამრიგად, სიმდიდრე მეცნიერების ერთ-ერთი საკვანძო თემაა. ეკონომიკურ მეცნიერებას კიდევაც თვლიან სიმდიდრის შესახებ მეცნიერებად .

საინტერესო საყურადღებო აზრები სიმდიდრეზე, მის რაობაზე, მნიშვნელობაზე ადამიანებისათვის, მისდამი სწორი დამოკიდებულების, მისი ფლობის სხვა ასპექტებზე, მოიპოვება ხალხურ შემოქმედებაში, რომელთა გათვალისწინება სასარგებლოა.

აღნიშნულის მიუხედავად, სიმდიდრის თემა თეორიული ასპექტით სრულიადაც არაა ამოწურული. დაზუსტებას, ახლებურ გაშუქებას საჭიროებს მისი რიგი ასპექტი, რომლებიც შეეხება სიმდიდრის რაობას, წარმოებას, სტრუქტურას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას. სიმდიდრის თეორიის გაღრმავებამ უნდა მოგვცეს უფრო სრული და ჭეშმარიტი ცოდნა ამ მეტად მნიშვნელოვან ფენომენზე.

ამჯერად მე შევეცდები მოკლედ, გარკვეული შევსებით გადმოვცე სიმდიდრის გარშემო ჩემი ხანგრძლივი კვლევის ცალკეული შედეგები, რომლებიც ასახულია ჩემს ადრინდელ შრომებში ,,მეტაეკონომიკა - ეკონომკის ფილოსოფია“ [1] ,,მცირე ეკონომოლოგია. ეკონომკური თეორიის ახალი პარადიგმები“ [2] და სხვა .

მოვლენების ღრმა წვდომისათვის მე ვცდილობ დავაფართოვო კვლევის მეთოდოლოგია. ამ მიზნით, კლასიკურ მეთოდებთან ერთად, ვიყენებ: **ანთროპოცენტრულ მიდგომას** - ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენათა განხილვას, ერთი მხრივ, ადამიანთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების, მეორე მხრივ, ადამიანთა შემოქმედებით-მწარმოებლური ძალის კუთხით; **აქსიომეტრიულ ანალიზს** - ცხოვრების ყოველგვარ მოვლენათა შეფასებას ადამიანურ ფასეულობათა: ზნეობის, სამართლიანობის, თავისუფლების, მშვენიერების, სიყვარულის და ა.შ, საბოლოოდ სიკეთისა და ბოროტების თვალსაზრისით; **ევდემონისტურ ხედვას** - სოციალურ-ეკონომიკურ პროცესთა და მოვლენათა აღქმას ადამიანთა ბედნიერების თვალსაზრისით.

ჩემი შეხედულებების ზუსტად გადმოცემისათვის შემოღებული მაქვს ცნებები: სოციალური ენერგია, უსასყიდლო რესურსები, დამატებული პროდუქტი, უქმი ეკონომიკა და სხვ.

სიმდიდრის რაობისა და შედგენილობის შესახებ პირველ რიგში საჭიროდ მიმაჩნია დაზუსტდეს სიმდიდრის რაობის განმარტება, მისი შედგენილობისა და სტრუქტურის შესახებ წარმოდგენა, რაც არსებობს მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

სიმდიდრეს ჩვეულებრივ განმარტავენ ეკონომიკური თვალსაზრისით. მაგალითად, ავტორიტეტული ინგლისური გამოცემა ,, თანამრდროვე ეკონომიკური თეორიის ლექსიკონი“ იძლევა მის შემდეგ განმარტებას: ,, ყველაფერი, რასაც აქვს საბაზრო ფასეულობა და შესაძლებელია გაიცვალოს ფულზე და დოვლათზე, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სიმდიდრე. ის შეიცავს ფიზიკურ დოვლათს ანუ აქტივებს, ფინანსურ აქტივებს, ჩვევებს, უნარებს, ე.ი. ყველაფერს, რამაც შეიძლება მოიტანოს შემოსავალი. ყველა ეს ელემენტი განიხილება სიმდიდრედ, როცა ისინი შეიძლება გაიყიდოს ან შეძენილ იქნეს სასაქონლო ბაზრებზე. სიმდიდრე შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სახეობად: ნივთობრივი სმდიდრე, რომელიც განსახიერებულია ფიზიკურ და ფინანსურ აქტივებში და იწოდება კაპიტალად და არანივთობრივი სიმდიდრე, რასაც ადამიანურ კაპიტალს უწოდენენ. სიმდიდრის ყველა სახეობას გააჩნია ძირითადი თვისება - მოაქვს შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს სიმდიდრის უკუგებას.“ [3. გვ. 530].

ამ განსაზღვრებაში სრულადაა ჩამოყალიბებული სიმდიდრის შესახებ თანამედროვე წარმოდგენა, რომლის მიხედვით იგი განიხილება როგორც ეკონომიკური, საბაზრო ობიექტი.

მიმჩნია, **რომ სიმდიდრესადმი საჭიროა უფრო ფართო მიდგომა. კერძოდ, სიმდიდრის ქვეშ უნდა გვესმოსდეს ყოველივე ის, რა-**

საც ადამიანისათვის რეალური სარგებლობა აქვს, ე. ი. ყოველგვარი სიკეთე, მიუხედავად მისი ფორმისა, მატერიალურია (ფიზიკურია) იგი თუ არამატერიალური (არაფიზიკური). ძირთადად ასეთად განიხილება სიმდიდრე პრაქტიკაში. გარდა იმისა, რაც იგულისხმება სიმდიდრეში ზემოთ მოტანილი განსაზღვრების მიხედვით, მე ვფიქრობ, რომ მას უნდა მივაკუთვნოთ არასაბაზრო ფასეულობებიც, რომელთაც ადამიანებისათვის სარგებლობა მოაქვს. კერძოდ, ასეთად შეიძლება უწინარესად **ჩავთვალოს კლიმატური პირობები, დედამიწის კონკრეტული პუნქტის ადგილმდებარეობის ხელსაყრელობა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობისაათვის.** ჩემი გაგებით, სიმდიდრის არამატერიალურ სახეობებს უნდა მიეკუთვნოს **სოციალური კავშირები,** ე. წ. „სოციალური კაპიტალი". ცხადია, რომ სოციალური კავშირები ადამიანებისათვის დიდი სარგებლობის მატარებელია, მათ გარეშე არავითარი საქმიანობა არ შეიძლება შედგეს. ამგვარი კავშირების მნიშვნელობა იზრდება თანამშრომლობის გაფართოების კვალობაზე ცხოვრების ყველა სფეროში ქვეყნების შიგნით და სართაშორისო მასშტაბით. საზოგადებრივ სიმდიდრეს, როგორც მე წარმომიდგენია, უნდა მივაკუთვნოთ **საზოგაოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება, სანართლიანობა და ეკონომიკური, პოლიტიკური, პიროვნებათაშორის ურთიერთობების ეთიკურობა.** არამატერიალური, უხილავი არასაბაზრო, ფულით განუსაზღვრელი ფასეულობები, რომლებიც სარგელობის მატარებელია, არანაკლებ საჭიროა ადამიანებითვის, ვიდრე სიმდიდრის მატერიალური სახეები.

მაშასადამე, სიმდიდრეზე მსჯელობისას სიმდიდრის ჩვენს მიერ აქ დასახელებული სახეები არ უნდა იქნეს გამოტოვებული. ისინი შესაძლებლია უშუალოდ არ მიეკუთვნოს ეკონომიკურ ურთიერთობათა საგანს, მაგრამ მცირე კავშირი არა აქვთ ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან, ურთიერთობებთან. მათი შედეგები ირიბ გავლენას ახდენენ ეკონომიკურ პროცესებზე, დოვლთზე უმთავრესად კი პოზიტიური სოციალური სიკეთის მატარებლებია.

ცივილიზაციის პროგრესთან ერთად მათი მნიშვნელობა იზრდება. მაშასადამე, ეკონომიკურ მეცნიერებაში მათ უნდა დაეთმოს სათანადო ადგილი და ყურადღება. ამათან ერთად, ისინი დეტალურად უნდა განიხილებოდეას სოციალური ფილოსოფიის, სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის მიერ.

ცალკეული ქვეყნებისა და მსოფლიოს სიმდიდრის შესახებ საკმარისი არაა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოცავს სიმდიდრის ფულად ერთეულებში შეფასებად ელემენტებს. სიმდიდრეზე სრული წარმოდგენისათვის, ჩემი აზრით, უნდა მოხდეს საზოგადოებრიდი **სიმდიდრის არამატერიალური და არაეკონომიკური ნაწილის** შეფასება. შესაბამისი მეთოდიკის მეშვეობით შეიძლება მივიღოთ ამგვარ სიმდიდრეთა შესახებ მონაცემები თვისებრივი მახასიათებლების სახით. შესაძლებელია, მაგალითად, გამოვიყენოთ **ცხოვრების ხარისხის ინდექსის** მონაცემები და ა. შ. ასევე შევიმუშავოთ სხვა საზომები, მაგალითად სოციალური კავშირებისათვის, სამრთლიანობისათვის, ეთიკურობისათვის და სხვ. არსებული ინფორმაციის ბაზაზე გათვლილი ამ მონაცებებით შევსების შედეგ შესაძლებელი იქნება უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ქვეყნისა თუ მსოფლიოს სიმდიდრისა და მისი ცვლილების შესახებ.

სიმდიდრის შექმნასა და ზრდაზე როცა ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ მისი მატერიალური და არამატერიალური (იდეალური) შემადგენლების, მათი წარმოქმნისა და ზრდის, ასევე განაწილების, კეთილდღეობასთან დამოკიდებულების თავისებურებები. მე ამ სტატიაში უმთავრესად განვიხილავ სიმდიდრეს ვიწრო გაგებით, როგორც განიხილება ეკონომიკურ მეცნიერებაში, ე.ი. რომელიც ფასდება ფულად ერთეულებში, წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობის საგანს, რამდენადაც სიმდიდრის ყველა სახეობის კვლევისათვის სათანადო ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს. ამასთან შესაძლო ფრგლებში ვეხები სიმდიდრის არაეკონომიკურ სახეობებსაც.

სიმდიდრის შექმნისა და ზრდის პროცესი

მე ვფიქრობ, რომ სიმდიდრის შექმნისა და ზრდის პროცესის ეკონომიკური შინაარსი ახლებურად უნდა იქნეს გაგებული. ჩემი აზრით, არსებული თეორიები არაადეკვატურად და არასრულად ხსნის ამ პროცესს. არ გაითვალისწინება საწარმოო რესურსების ხასიათი წარმოშობისა და ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, მისი ასახვა წარმოების საბოლოო შედეგებში, შექმნილი დოვლათის რაოდენობაზე და მის ზრდაზე.

კერძოდ, ახლებურ გაშუქებას საჭიროებს სიმდიდრის შექმნასა და გადიდებაში **უსასყიდლო რესურსების მონაწილეობა და როლი**.

დავიწყებ იმით, რომ მარტივ კვლავწარმოებას, ანუ წარმოების უცვლელი მასშტაბებით გამეორებას აზრი აქვს მის შედეგად მიიღებული, წარმოების რესურსებიდან განსხვავებული, სრულიად ახალი პროდუქტების ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელობის გამო, რაც უამისოდ შეუძლებელია. ასეთი კვლავწარმოება საზოგადოების ინტერესებს არასრულად შეესაბამება, არ ხდება კეთილდღეობის გაუმჯობესება. საზოგადოებისთვის კი აუცილებელია განვითარება, **რისთვისაც წარმოების შედეგები მეტი უნდა იყოს გამოყენებულ საშუალებებზე**. აუცილებელია რესურსების არსებობა და გამოყენება ასეთი ზრდისათვის, ისეთი რამ, რაც უზრუნველყოფს წარმოების შედეგების მეტობას დანახარჯენთან შედარებით. მაგრამ როგორ შეიძლება ეს? ამაზე, ჩემი აზრით, ეკონომიკურ მეცნიერებაში არაა სათანადო პასუხი.

ვფიქრობ, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს ე.წ. **კონიუნქტურული თეორია,** რომ საბაზრო წონასწორობის პირობებში არ წარმოიშვება არც მოგება, არც ზარალი, ე.ი. შემოსავლები უდრის წარმოების დანახარჯებს. ასეთ პირობებში არ არსებობს დაზოგვისა და დაგროვების წყარო. ეკონომიკა გაყინული ხდება. ეს ნიშნავს, რომ წარმოების ეფექტიანობა არ იზრდება, ეკონომიური ზრდის წყარო არ არსებობს, ეკონომიკური საქმიანობის შედეგი ნაკლებია.

ვერ ხსნის მოგების - წარმოების შემოსავლების დანახარჯებზე მეტობას თეორია, რომელიც მის წყაროდ თვლის **რისკსა და განუზღვრელობას**. რისკი და განუზღვრელობა არ შეიძლება საქმიანობის შედეგების გადიდების წყარო იყოს. ისინი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არ წარმოიქმნას მოგება - დანახარჯებზე მეტი შემოსავალი.

დანახარჯებზე მეტი პროდუქტის მიღების ნამდვილ წყაროს ვერ გვიჩვენებს თეორიები, რომელიც ასეთად მიიჩნევს **კაპიტალს, ასევე მეწარმეობრივ უნარს (ნიჭს)**. ეს თეორიები მოგებას მიაწერს ერთ ფაქტორს, მაშინ როცა **ერთი ფაქტორი არაფერს არ ქმნის, წარმოების შედეგი წარმოიქმნება ფაქტორთა ერთობლივი მოქმედებით**. ამასთან, აღნიშნული თეორიები არ იძლევა დამაჯერებელ პასუხს, თუ როგორ ქმნის კაპიტალი და სამეწარმეო უნარი გაწეულ დანახარჯებზე მეტ შემოსავალს, საიდან და როგორ წარმოიშვება იგი.

ადამ სმითის მიხედვით, მოგება **საქონლის დამატებული ღირებულების ნაწილია,** რომელიც შექმნილია შრომით და რჩება შრომის ანაზღაურების (ხელფასის) გადახდის შემდეგ, მითვისება კაპიტალისტის მიერ, უნაწილდება შესაბამის შემთხვევებში რენტისა და სასესხო პროცენტის სახით მიწათმფლობელებსა და კრედიტის მიმწოდებლებს. [4, გვ. 114-129].

ა. სმითი, ამრიგად, ცნობდა მოგების შრომით წარმომავლობას. გამოდის, რომ წარმოების შედეგად არ წარმოიქმება მეტი ღირებულება (პროდუქტი), ვიდრე დახარჯულია სახსრები. მოგება შექმნილი ღირებულების გადააწილების შედეგიადა არა გადამეტება დანახარჯებზე. მოგების შრომით წარმომავლობას იზიარებდა დიდი ეკონომისტი დ. რიკარდოც. აქაც მოგება ითვლება ერთი ფაქტორის - შრომის ნაყოფად, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რამდენადაც ერთი ფაქტორი, როგორც აღინიშნა, არაფერს ქმნის, არც ღირებულებას.

კ. მარქსის **ზედმეტი ღირებულების თეორია** [5, გვ. 227-384] დახარჯულ სახსრებზე მეტი შემოსავლის, მისი ტერმინოლოგიის მიხედვით, **ზედმეტი ღირებულების (პროდუქტის)** მიღებას ხსნის მუშაკთა აუნაზღაურებელი შრომის ნაყოფად, რასაც ითვისებს კაპიტალისტი. ასეთი მითვისება მუშაკთა ექსპლუატაციად განიხილება. ამრიგად, არსებთად დამატებული პროდუქტი - მოგება, მარქსის მისედვით, ერთი ფაქტორით იქმნება, რაც როგორც აღინიშნა, არ ხდება. ამ შემთხვევაში, შექმნილი ღირებულება უდრის დანახარჯებს, არ წარმოიქმნება დამატებული პროდუქტი - ეკონომიკის ზრდისა და პროგრესის წყარო. ეს კი სინამდვილეში ასე არ არის.

ჯ. კლარკის მიხდვით, ,,თავისუფალი კონკურენცია მიისწრაფის მისცეს შრომას ის, რაც შექმნილია შრომით, კაპიტალის მესაკუთრეს - ის, რაც კაპიტალით იქმნება, მეწარმეს - ის, რაც კოორდინირების ფუნქციითაა შექმნილი.“ [6, გვ. 11]. აქაც ვხედავთ, რომ მიღებული შემოსავალი ითვლება ცალკეული ფაქტორების შექმნილად, მაგრამ ეს შემოსავლები, როგორც ითქვა, სინამდვილეში არ შეიძლება მიივაწეროთ ცალკეულ ფაქტორებს.

არც ერთი განხილული თეორია ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ წარმოების პროცესის შედეგად, როგორც წესი, ვიღებთ **მეტ პროდუქტს,** ვიდრე გაწეული **საერთო** ხარჯებია. მოგება თითქოს **გადანაწილების ხარჯზე** წარმოიშვება, რაც ვიღაცას ემატება, აკლდება სხვას ან ყველა იღებს იმდენს, რანდენიც შექმნა. საბოლოოდ იგულისხმება, რომ მიღებული პროდუქტის ღირებულება უდრის რესურსების მთლიან დანახარჯებს, წარმოების ფაქტორთა სუბიექტების წვლილს. სიმდიდრის ზრდის, განვითარების მთელი აზრი კი იმაშია, რომ წარმოების შედეგი, როგორც წესი, მეტია გაწეულ დნახარჯებზე, ე.ი ვიღებთ წარმოების ფაქტორებზე დანახარჯებს **დამატებულ პროდუქტს, რომელიც არის დაზოგვისა და განვითარების წყარო.**

ეკონომიკურ თეორიათა ამ მიმოხილვის შემდეგ მე ვაკეთებ დასკვნას წარმოების პროცესის შედეგად **დანახარჯებზე მეტი სიკეთის, პროდუქტის მიღების უმნისვნელოვანესი ფაქტი ახლებურად უნდა აიხსნას** . მე ვცდილობ მოკლედ გადმოვცე დანახარჯებზე მეტი შედეგის (დოვლათის) მიღების ალტერნატიული კონცეფცია. რა თქმა უნდა, არ ვეხები წარმოების ტექნოლოგიურ ასპექტებს. ყურადღებას ვამახვილებ მხოლოდ პრობლემის ეკონომიკურ მხარეზე.

მე მივდივარ იმ აზრამდე, რომ წარმოების ფაქტორები უნდა დაიყოს მათი წარმომავლობის, **დანახარჯების წარმოქმნაში მათი როლის მიხედვით. ასე გვაქვს სრულიად უდანახარჯო (უსასყიდლო) ნაწილობრივ დანახარჯიანი (ანაზღაურებადი) და მთლიანად ანაზღაურებადი რესურსები.** საზოგადოების საწარმოო, ე.ი. წარმოების პროცესში მონაწილე ძალების პოტენციალს მე განვიხილავ **სოციალურ ენერგიად.** შესაბამისად გვაქვს სოციალური ენერგიის **სრულიად უსასყიდლო, ნაწილობრივ ანაზღაურებადი და სრულად ანაზღარებადი ნაწილები.** ამ საფუძელზე ვცდილობ მე ავხსნა დახარჯულ სახსრებზე მეტად მიღებული პროდუქტის წარმოშობა. **საგულისმოა, რომ სიმდიდრის შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური ენერგიის უსასყილლო ნაწილს, ხოლო დანახარჯებზე მეტი - დამატებული - პროდუქტის წყაროს კი წარმოადგენს უსასყიდლო სოციალური ენერგია.** მისი რესურსები შედგება სხვადასხვა ელემენტებისაგან.

ეს პრველ რიგში **ბუნებრივი რესურსებია,** რომელთა გარეშე არ არსებობს არავითარი წარმოება. ისინი უსასყიდლოა სრულად ან ნაწილობრივ, არავის მიერ არა შექმნილი, ბუნებამ ,, მოუმზადა" ადამიანებს და ,, ჩუქნის" მათ. მზის ენერგია, კლიმატური პირობები, მიწის ნაყოფიერება სრულიად უსასყიდლოა. ჰიდრო რესურსები , წიაღისეული, ლანდშაფტის სილამაზე და ა.შ.. ბუნების ,,საჩუქრებია", მაგრამ მათი გამოყენებისათვის აუცილებელია ადამიანთა შრომა და წარმოების საშუალებები, ე.ი. გარკვეული დანახარჯების გაწევა.

უსასყიდლო, აუნაღზღაურებადია რიგი **ანთროპოგენური რესურსი,** რომლებიც სიმდიდრის შექმნაში მონაწილეობს. ისინი, ისევე როგორც ბუნებრივი რესურსები, მრავალგვარია. ასეთია პირველ რიგში ცოდნა, გამოცდილება, მეცნიერულ - ტექნიკური მიღწევები, შემოქმედებითი მოღვაწეობის ყოველგვარი პროდუქტი, რომლებიც გადმოეცემა მოქმედ თაობას წინა თაობებისაგან ყოველგვარი ანაზრაურების გარეშე. უსასყიდლოდ უნდა ჩაითვალოს წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული კაპიტალი. ეს ნიშნავს, რომ **სიმდიდრის შექმნაში არაპირდაპირ (არაცხადად), მონაწილეობენ წინამორბედი თაობები აღნიშნული უსასყიდლოდ წყაროებით.** დანახარჯებზე მეტის, უსასყიდლო შედეგის მომცემ რესურსებად წარმოგვიდგება **აგრეთვე ახალი ცოდნა, მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეები,** რომლებიც ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს ემსაურება. ისინი მიიღება განათლებაზე, კვლევებზე, საძიებო- გამომგობებლურ სამუშაოებზე და ა.შ. გარკვეული დანახარჯების ფასად, მაგრამ მათზე დანახარჯები იძლევა ბევრად მეტ შედეგს უსასყოდლო ძალების გამოყენებით.

უსასყიდლოს მიეკუთვნება ასევე **ადამიანთა ბუნებრივი ნიჭი** განსაკუთრებით შემოქმედებითი უნარით უხვად დაჯილდოებულთა, გენიოსების უნარი, რომლთანაც დაკავშირებულია მნიშვნელოვანი, ზოგჯერ რევოლუციური მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევები, პროგრესი ეკონომიკაში. ყოველივე ეს ზრდის დამატებულ პროდუქტს და მთელ სიმდიდრეს.

კონკრეტულად როგორ წარმოიშვება დახარჯულზე მეტი შედეგი წარმოების პროცესში ეს ყურადღების და პასუხის გარეშე რჩება. ყველა დაინტერესებული დამატებული პროდუქტის მეტი სიდიდით და არა წარმოქმნის მიზეზებით.

რესურსების ნაწილის უსასყოდლო ხასიათი შეიძლება ავხსნათ შემდეგნაირად. ბუნებასთან არ წარმოიშვება ეკონომიკური ურთიერთობა. ის უშურველი და უანგაროა, არ მოითხოვს არავითარ საზღაურს ადამიანებისაგან მიწოდებული უზარნაზარი რაოდენობის რესურსებისათვის. ანთროპოგენური რესურსების უსასყიდლობა კი იმაში გამოიხატება, რომ წინა თაობები ბუნების მსგავსად უანგარონი არიან. ამ რესურსების მოხმარება დაკავშირებულია ბუნების უსასყილდო ძალების გამოყენებასთან.

ამასთან ერთად, ანთროპოგენური უსასყიდლო ძალები ჩვეულებრივ თავიდანვე ატარებენ ინფორმაციულ ხასიათს, მრავალ ჯერ გამოიყენება მორალურად გაცვეთამდე, არ იხარჯება, არ ცვდება, ემსახურება წარმოების პროცესს ერთ დონეზე მწყობრიდან გამოსვლამდე. ცოდნის, მეცნიერულ - ტექნიკურ და ორგანიზაციულ სიახლეთა, ინფორმაციის მრავალჯერადი მოქმედება არ ზრდის მათზე დანახარჯებს, გარდა იმისა, რაც საჭირო გამოყენებისათვის. მათი მონაწილეობა დოვლათის შექმნაში შესაბამისად უსასყიდლოა.

უსასყიდლო ძალების მონაწილეობა სიმდიდრის შექმნაში ამითაც არ ამიწურება. არსებობს კიდევ **სოციალური ენერგიის სხვა უხილავი წყაროები.** თუ დავაკვირდებით სიმდიდრის შექმნასა და ზრდას, დავინახავთ, რომ მასში მონაწილეობს ბუნებრივად მიმდინარე პროცესები, როგორიცაა: შრომის დანაწილება (სპციალიზაცია), წარმოების კონცენტრაცია, კოოპერირება, კომბინირება, თანამშრომლობა და სხვა, რაც ასევე ატარებს უსასყიდლო ხასიათს. ამ შემთხვევებში პროცესები წარმოადგენს არა ადამიანთა შეგნებული მოქმედების შედეგს, არამედ ეკონომიკის ფუნქციონირების თანმდევს. ისინი უშუალი დანახარჯების გარეშე განაპირობებენ ეკონომკური შედეგების მიღებას - წარმოების, შრომისა და წარმოების საშუალებათა მწარმოებლურობის, დამატებული პროდუქტის (მოგების) ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური ენერგიის თვისებას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ის, ფიზიკური ენერგიისაგან განსხვავებით, მუდმივი არაა, არამედ ცვალებადია, უმთავრესად იზრდება არამატერიალური ხასიათის წყაროების - ცოდნის, მეცნიერული მიღწევების, გამოგონებათა, ყოველგვარი ნოვაციების, ასევე ბუნების ძალათა ინტენსიური გამოყენების შედეგად.

ამრიგად, აღნიშნულ გარემოებათა გამო **გვაქვს უსასყიდლო სოციალური ენერგია, რომელიდ იძლევა დამატებულ - დანახარჯებზე მეტ პროდუქტს.** სახელდობრ ამ სოციალურ ენერგიას უნდა მივაწეროთ სიმდიდრის ზრდა, რასაც ადგილი აქვს ცალკეულ საწარმოში , ქვეყანაში და მთელ მსოფლოში.

სრულიად და ნაწილობრივ უსასყილო რესურსების გამოყენებას აქვს საკვანძო მნიშვნელობა დოვლათის ზრდაში. რაც უფრო მეტად გამოიყენება ასეთი რესურსები, მით მეტია შრომისა და წარმოების საშუალებათა მწარმოებლურობა. ამაში გამოიხატება წარმოების, ეკონომიკის პროგრესი.

სიმდიდრის შექმნისა და ზრდის ღრმა განხილვისას შეიძლება დავინახოთ მისი გადიდების კიდევ ერთი მომენტი. **განვთარებულ საზოგადოებაში სიმდიდრის ზრდა უსწრებს მის შექმნას** . მწარმოებლური ძალა აღემატება სამომხმარებლო ძალას, გამოყენების ხანგრძლივობა დიდად ჭარბობს წარმოების ხანგრძლოვობას. ამის შედეგად გროვდება სიმდიდრე. ამაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ შექმნილ დოვლათში დიდი ადგილი აქვს კაპიტალურ, ხანგრძლივი მოხმარების დოვლათს, რომელიც მოხმარების აქტის დროს არ ქრება, განაგრძობს არსებობას. იგი გარკვეული დროის მანძილზე, ხშირად დიდხანს გამოიყენება (შენობა-ნაგებობები და სხვ.). რა თქმა უნდა, კაპიტალური პროდუქტების სამომხმარებლო პოტენციალი კლებულობს ცეთის შესაბამისად, მაგრამ მათი სარგებლობა თითქმის უცვლელია. მაგალითად, გზა, ლითონსაჭრელი დაზგა, კომპუიტერი, მტვერსასრუტი და ა.შ. ხანგრძლივად გამოიყენება და დაახლოებით ერთ დონეზე ემსახურება მომხმარებელს ცვეთის მიუხედავად. ეს მომენტი შესამჩნევად ახდენს გავლენას სიმდიდრის ზრდის გასწრებაზე მისი შექმნის მიმართ. გაფართოებული კვლავწარმოების პირობებში სიმდიდრეს ყოველწლიურად ემატება ახლადშექმნილი პროდუქციის უდიდესი ნაწილი, ის მეტია მწყობრიდან გასული სიმდიდრე, რადგან წარმოების მასშტაბი ადრე ნაკლები იყო.

ამავე დროს სიმდიდრის მოხმარება ჩამორჩება წარმოებას კაპიტალური დოვლა-

თის იმ თვისების გამო, რომ იგი უფრო დიდ ხანს ძლებს, ვიდრე საჭიროა დრო მისი წარმოებისთვის. ამ დროს მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ **განვითარებული საზოგადოების მწარმოებლური ძალა მეტია სამომხმარებლო ძალაზე. აქედანაც გამომდინარეობს, რომ სიმდიდრის ზრდის ტემპი მეტია შექმნის ტემპზე.**

საბოლოოდ, ვედავთ, რომ საზოგადოება უფრო მეტად მდიდრდება, ვიდრე იქმნება სიმდიდრე. ამაში მდგომარეობს სიმდიდრის დაგროვების კანონი. ეს თვალნათლივ დასტურდება შემდეგი მონაცემებით. მსოფლიოს სიმდიდრის მატებამ 2011- 2019 წლებში შეადგინა 56, 3 % , მაშინ როცა მსოფლიოს მთლიანი პროდუქტი გაიზარდა 36, 3 %-ით.[1]

ზემოთ აღნიშნული მომენტები სიმდიდრის ზრდის გასწრების თაობაზე მის შექმნასთან შედარებით, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანია ცალკეული პირებისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობის თვალსაზრისით.

დამატებული პროდუქტისა და სიმდიდრის განაწილება

რაც შეეხება დამატებული პროდქტის განაწილებას, აქ გადმოცემული შეხელულების ლოგიკით, არ შეესაბამება სინამდვილეს მარქსიზმის მოძღვრება, რომლის მიხედვით, **კაპიტალისტები ითვისებენ მუშათა შრომით შექმნილ ე.წ. ზედმეტ ღირებულებას (დამატებულ) პროდუქტს, რომელიც შექმნილია დქირავებული მუშაკთა შრომით.** ამას მარქსი უწოდებს მუშაკთა ექსპლუატაციას. მაგრამ დაქირავებული მუშაკები, როგორც წესი, იღებენ ხელფასს, რაც შეესაბამება მათ წვლილს დოვლათის შექმნაში. წარმოების საშუალებათა მფლობელები და ორგანიზაციული ფუნქციის შემსრულებლები კი ეკომომიკური ძალაუფლების საფუძველზე ითვისებენ მეტ ნაწილს , ვიდრე ეკუთვნით დოვლათის შექმნაში მათი წვლილის მიხედვით, ე..ი. იმ ნაწილს, რომელიც ობიექტურად, როგორც საყოველთაო უსასყილო რესურსების მონაწილეობის შედეგად შექმნილი, ეკუთვნის მთელ საზოგადოებას. მაშასადამე, იმთავითვე ამ მიზეზით , და არა მარქსის განმარტების საფუძველზე, **დოვლათისა და დამატებული - დანახარებზე მეტი - პროდუქტის განაწილება არის უსამართლო.**

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ კაპიტალისტების მიერ მითვისებული დამატებული პროდუქტის გამოყენება. მისი უდიდესი ნაწილი უბრუნდება (ემსახურება) საზოგადოებას ინვესტიციების, ბიუჯეტში გადასახადების, ქველმოქმედების და სხვა სახით, ე.ი. ადგილი აქვს მის სოციალიზაციას. ამასთან, კაპიტალისტებს კიდევ რჩებათ მეტი, ვიდრე ეკუთვნით, რაც ხმარდება მათ ფუფუნებით მოხმარებას და სხვა სურვილებს. **ამრიგად, საბოლოოდაც დამატებული პროდუქტისა და სიმდიდრის კაპიტალისტური განაწილება არის უსამართლო.**

უნდა ითქვას, რომ კაპიტალისტების როლი და ფუნქცია კ. მარქსის მიერ იგნორირებულია, რაც ეკონომიკურ სინამდვილეს ამახინჯებს. ისინი არ არიან პარაზიტები, არამედ უნდა მივაკუთვნოთ მშრომელებს. მათ შორის არიან დიდი ტალანტები, გენიოსებიც, რომლებიც საზოგადოებრივ პროგრესს ემსახურებიან.

ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის დროს ადგილი არა აქვს მუშაკთა **შრომის ექსპლატაციას.** ისინი ხშირად იღებენ ნაკლებს, ვიდრე ეკუთვნით შექმნილი დოვლათის სამართლიანი განაწილების პირობებში.

კეთილდღეობის ჩამორჩენა სიმდიდრის ზრდისაგან

სიმდიდრის ზრდისა და კეთილდღეობის ურთიერთ კავშირის შესახებ მინდა ჩემი მოსაზრება ქვემოთ ჩამოვაყალიბო.

ვთვლი, რომ სიმდიდრე, განსაკუთრებით ეკონომიკური, უნდა განვიხილოთ ორი კუთხით: **სახეზე არსებული სიმდიდრე და სასარგებლოდ გამოყენებული სიმდიდრე.** ისინი ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება. პრაქტიკიდან ნათელია, რომ შექმნილი მატერიალური სიმდიდრის არც თუ მცირე ნაწილი რჩება სრულად ან ნაწილობრივ გამოუყენებელი სხვადასვა მიზეზით. სხვანაირად რომ ვთქვათ, **ეკონომიკური დოვლათი სრულად არ ტრანსფორმირდება სოციალურ სიკეთეში.**

ამის შესახებ მსჯელობა შეიძლება დავიწყოთ იქიდან, რომ ეს დაკავშირებულია სიმდიდრის **არასამართლიან განაწილებასთან.** ცალკეული ადამიანების ხელში გროვდება უზარმაზარი სიმდიდრე, საქმე გვაქვს ზომასგადასულ ქონებრივ

[1] გაანგარიშებულია მონაცემების მიხედვით, რომლებიც აღებულია წყაროებიდან :ЭКОНС 25 октября 2019 ; Карманный справочник мировой статистики. ООН, Нью - Йорк , 2018 с.3. Всемирный банк . Анализ 30 января 2018. Пресс- релиз. №: 2018/097/ENR

უთანასწორობასთან საზოგადოებაში, რომლის მდიდარი ნაწილის მიერ დაგროვილი სიმდიდრის გონივრული და რაციონალური გამოყენება არ ხდება. ამის გამო დოვლათი ნაწილი საზოგადოებაში გამოუყენებელი ან არასრულად გამოყენებულია.

დაკვირვების შედეგად შეიძლება დავინახოთ, რომ, პირიქით, დოვლათის სამართლიანი განაწილებისას მისი სასარგებლო პოტენციალის „წონა" - მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნარი - მატულობს. **სამართლიანი განაწილების** ქვეშ აქ ვგულისხმობთ საზოგადოების თითოეული წევრის მიერ იმის მიღებას, რასაც ის იმსახურებს პირადი შრომითი წვლილის მიხედვით დოვლათის შექმნაში ან შემოსავლის მიღებას ალტრუისტული პრინციპის საფუძველზე იმათ მიერ, ვისაც სხვადასხვა მიზეზით არ შეუძლია შრომითი საქმიანობა. სამართლიანი განაწილების დროს საზოგადოებრივი სიმდიდრიდან მიიღება მეტი სარგებლობა, ვიდრე უსამათლო განაწილების პირობებში. უკანასკნელ შემთხვევაში დოვლათის სარგებლობის პოტენციალის ნაწილი იკარგება, მისი ნაწილობრივ ან სრულიად გამოუყენებლობის, ცაკლეული ადამიანების მიერ, ზედმეტი, სამომხმარებლო ძალაზე ჭარბი დოვლათის დაგროვების გამო.

სიმდიდრის განაწილების უსამართლობის შედეგად არსებობს უკიდურესი უთანაბრობა. ასე, მაგალითად, 1980- 2016 წლებში ყველაზე მდიდარი მოსახლეობის შემოსავლების ზრდამ მსოფლიოში შედგინა 27 %, ხოლო ყველაზე ღარიბებისამ - 13%.[1] ამრიგად, ეკონომიკური პროგრესი არაერთნაირად ახდენს გავლენას მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილის კეთილდღეობაზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) მონაცემებით, მდიდრებისა და ღარიბების კეთილდღეობის განსხვავება იზრდება. ორგანიზაციაში შემავალ 34 ქვეყანაში ყველაზე მდიდარ მცხოვრებთა 10% იღებს თითქმის 10- ჯერ მეტ შემოსავალს, ვიდრე ღარიბი 10% .[2]

უნდა აღინიშნოს სიმდიდრის სარგებლობის ზრდის ისეთი უსასყიდლო ფაქტორი, როგორიცაა **გონივრული და რაციონალური მოხმარება**. როცა ისინი დაცულია, ადგილი არა აქვს საგნების ზედმეტად დაგროვებას და მოხმარებას, რასაც ამჟამად ხშირად ვხვდებით, განსაკუთრებით მათი მხრით, ვისაც მაღალი შემოსავალი აქვს. ცნობილია, რომ ხშირად მომხმარებლები აგროვებენ ზედმეტ ნივთებს შეძენის დროს არასწორი არჩევის, დაბალი სამომხმარებლო კულტურის, მოდის, სხვისი მიბაძვის, სახმარი ნივთების თავმოყრის ჩვევის, გამო, პრესტიჟისათვის და სხვ. უხმარი რჩება საგნები, რომელთაც იძენენ ზოგიერთები (ე.წ. შოპოჰოლიკები) შეძენისადმი თვითმიზნური მიდრეკილების მიზეზით, იმის მიუხედავად, სჭირდებათ თუ არა ისინი. ყველაფერი ეს შეადგენს საოჯახო მეურნეობისათვის **ზედმეტ - არასრულლად ან სრულიად მოუხმარ პროდუქტებს**. ნებისმიერ ასე თუ ისე შეძლებულ ოჯახში ვიპოვით ამგვარ საგნებს. მფლანგველური დამოკიდებულების, მოხმარების დაბალი კულტურის მიზეზით იყრება მოსმარების საგნების არც თუ ისე მცირე ნაწილი. ფართო გაგებით ზედმეტს შეიძლება მიეკუთვნოს საომარი ტექნიკა, რომელიც გამოუყენებელი დევს საწყობებში რეზერვის სახით (კარგია, რომ გამოუყენებელია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ სულაც არ იყოს საჭირო).

სპეციალისტები თვლიან, რომ გამოუყენებელი და არსრულად გამოყენებული დოვლათი მთელი სამომხმარებლო დოვლათის ერთ მესამედსაც შეადგენს. სიმდიდრის ამ ნაწილის შექმნასა და არსებობას მე ვუწოდებ **უქმ ეკონომიკას**. სიმდიდრის სარგებლობის პოტენციალის სრულად გამოყებება კი შეამცირებსა დანაკარგებდა და გაზრდიდა კეთილდღეობის ამაღლების შესაძლებლობას.

ეს ეკონომიკური განვითარების დიდ ხარვეზია თანამედროვე მსოფლიოში.

მსოფლიოში სიმდიდრის ზრდისაგან კეთილდღეობის ჩამორჩენის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მთლიანი სამამული პროდუქტის (მ ს პ) ზრდის გამაწრები მატება ხელფასის მატებასთან შედარებით, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (ცხრილი 1).

1 Источник: CIA Workd Factbook World Inequality Lab Доклад о неравенстве в мире 2018

2 World Inequality Lab Доклад о неравенстве в мире 2018.

ცხრილი 1

მ ს პ და ხელფასის მატება მსოფლიოში (%-ობით)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მსპ*	3,1	-0,1	5,1	3,8	3,1	3,3	3,3	3,0	3,1	3,2
ხელფასი**	1,2	1,6	2,2	1,0	2,2	2,0	2,1	1,8	2,4	1,8

* Источник: CIA Workd Factbook BBC NEWS Русская с служба, 15 мая 2015г
** МОТ. Доклад ,, Заработная плата в мире , с. 4.

ხელფასის წილი მ ს პ - ში !970 წლის 51 %-იდან მსოფლიოში 2013 წელს შემცირდა 43 %-მდე. ა შ შ - ში ეს წილი შეადგენდა 1950 წელს 65, 4 %-ს, 2000 წელს - 63,3 %-ს, 2012 წელს - 58,7 %-ს.[1]

შექმნილი დოვლათის სამართლიან განაწილებასა და ზომიერ, რაციონალურ გამოყენებაში არის საზოგადოების საერთო კეთილდღეობის ამაღლების ყურადსაღები რეზერვი. მეტად არსებითია დოვლათის განაწილება იყოს სამართლიანი, ყველა მომხმარებელი კი - რაციონალური. მაგრამ ეს პირობები დარღვეულია. ამრიგად, ვხედავთ, რომ არსებობს სიმდიდრის რელური სასარგებლო პოტენციალის წარმოების ზრდისაგან დამოუკიდებლად გადიდების ფაქტორები, რაც ყურადღებას იმსახურებს.

სიმდიდრეს თუ განვიხილავთ ფართო გაგებით, როგორც მსჯელობა იყო სტატიის პირველ ნაწილში, ვნახავთ, რომ კეთილდღეობასა და ეკონომიკურ სიმდიდრეს შორის არაა სრული პირდაპირი დამოკიდებულება. ამას შეიძლება თვალი მივადევნოთ ქვეყნების მ ს პ სულადობრივი სიდიდისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და გათვლილი კეთილდღეობის ამსახველი ინდექსების. მათ შორის ბედიერების საერთაშორისო ინსექსის (ბსი)[2] და სოციალური პროგრესის ინდექსის (სპი) [3] შედარებით (ცხრილი 2).

ამ შერჩევითი მონაცემების მიხედვით, ცალკეულ ქვეყნებში უკეთესია მატერიალური უზრუნველყოფის მაჩვენებელი (სულადობრივი მ ს პ), ვიდრე ბ ს ი : ა შ შ - ში, იაპონიაში, ესპანეთში, იტალიაში, ესტონეთში, ინდოეთში , ხოლო ს პ ი უმჯობესია, ვიდრე მატერიალური უზრუნველყოფის მაშვენებელი შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, იაპონიაში, ესტონეთში, ინდოეთში. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სხვა ქვეყნებში ანალოგიური სურათია, რაც მიუთითებს მატერიალურ პირობებზე კეთილდღეობის არასრული დამოკიდებულების და მასში არამატერიალური ელემენტების მნიშვნელოვანი როლის შესახებ .

ჩემი ზარით, მომავლისათვის ყურადღების საგანი უნდა იყოს **ეკონომიკური ზრდის ზღვარი,** რის შესახებაც საკითხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა პერიოდში წამოჭრეს ,,რომის კლუბის" წარმომადგენლებმა. უთუოდ **არასწორია ყველა ქვეყანას მიზნად ჰქონდეს მუდმივი ეკონომიკური ზრდა, განსაკუთრებით მაღალგანვითარებულებს. ზრდის ტემპი უნდა განისაზღვროს აუცილებლობის მიხედვით და არ უნდა იყოს თვითმიზანი.**

ყურადღება მინდა **გავამახვილო კეთილდღეობის ისეთ წყაროებზე, როგორიცაა უხილავი სოციალური სიმდიდრეები,** რომელთაც არა აქვს მატერიალური და ფულადი განზომილება და რომელთა შედეგები შეიძლება გაიზომოს ან ნაწილობრივ აისახოს შესაბამისი ხარისხობრივი ინდიკატორებით. მათ, როგორც სიმდიდრის შემადგენლებს, ეკონომიკურ მეცნიერებაში ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც გამოსწორებას საჭიროებს. მათი სათანადო დონის გრეშე საერთო კეთიდღეობა არ შეიძლება მაღალი იყოს, განსხვავება მატერიალურ დონესა და საერთო კეთლდღეობას შორის გაიზრდება. ისინი იქმნება როგორც ცხოვრებისეული მოვლენების და ურთიერთობათა თანმდევი ფასეულობები შეიძლება ორადი ხასიათისა იყოს - ეკონომიკური და სო-

---

1 Зарплаты в США Tadviser, 23. 09. 2019

2 **ბსი** ასახავს ადამიანთა კეთილდღეობასა და გარემოს მდგომარეობას ქვეყანაში. ინდექსის გაანგარიშებისათვის სამი მაჩვენებელი გამოიყენება: ადამანთა ცხოვრებით სუბიექტური დაკმაყოფილება, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლოვობა და ე.წ. ეკოლოგიური უსაფრთხოება.

3 **ს პ ი** 50 მაჩვენებელს ითვალისწინებს. ისინი სამ ჯგუფად ერთიანდება: ადამიანთა ძირითადი ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; ადამიანის კეთილდღეობის საფუძვლები - საბაზო ცოდნისადმი და კომუნიკაციის საშუალებებისადმი მისაწვდომობა, ჯანდაცვის დონე, ეკოლოგიური მდგრადობა; ადამიანის განვითარების შესაძლებლობები - პირადი და სამოქალაქო თავისუფლების დონე, ადამიანის უფლებათა და შესაძლებლობათა უზრუნველყოფა გადაწყვეტილებათა მიღებისა და თავისი პოტენციალის რეალიზების მხრივ.

ცხრილი 2

ცალკეული ქვეყნების რეიტინგი მ ს პ სულადობრივი სიდიდსა და ბ ს ი და ს პ ი მიხედვით

ქვეყნები	მსპ ერთ მცხოვრებზე[1]		ბსი [2]		სპი[3]	
	ადგი-ლი	ათასი დოლ.	ადგი-ლი	ინდე-ქსი	ადგილი	ინდე-ქსი
ნორვეგია	6	72,1	2	7,59	6	90,3
შვეიცარია	9	61,6	5	7,49	5	90,1
აშშ	11	59,8	18	6,89	18	86,4
ნიდერლანდები	13	53,9	6	7,44	7	89,8
იაპონია	27	42,9	54	5,92	17	86,4
ესპანეთი	31	38,9	36	6,31	16	87,0
იტალია	32	38,2	47	6,00	24	82,6
ესტონეთი	42	31,7	63	5,74	23	83,0
რუსეთი	59	27,9	59	8, 00	67	67,2
ინდოეთი	122	7,18	133	4,19	93	58,4

ციალური ან მხოლოდ სოციალური შედეგენის მომტანი.

სოციალური კავშირები ადამიანის ცხოვრების თანამგზავრია თავისი სხვადასხვა ფუნქციით. მათ გარეშე თანამედროვე პირობებში საქმიანობა შეუძლებელია ან მისი ეკონომიკური და სოციალური სიკეთე ბევრად მცირდება. **წესრიგი** როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სიკეთეთა შექმნის საკვანძო ფაქტორია. მისი მნიშვნელობა დიდია ცალკეული ეკონომიკური ერთეულების, ასევე მთელი საზოგადოების მასშტაბით. წესრიგი ადიდებს საქმიანობის ეფექტიანობას ყველა სფეროში და აუმჯობესებს ცხოვრების პირობებს, რის გარეშე ადგილი აქვს ქაოსს და დანაკარგებს. წესრიგის სასარგებლო შედეგები მთლიანობაში შეუძლებელია გაიზომოს ზუსტ ერთეულებში, მაგრამ შეიძლება შეფასდეს ხარისხობრივად.

ისეთ უხილავარა ეკონომიკურ სიკეთეებს, როგორიცაა: ეთიკურობა, სამართლიანობა, თავისუფლება, უსაფრთსოება და სხვა პირდაპირი ეკონომიკური შედეგი არ გააჩნიათ, მაგრამ მათი როლი დიდია ეკონომიკის ფუნქციონირებაში. მაშასადამე, ისინი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკის ეფექტიანობის ფაქტორებად, მისი განვითარების რესურსებად. **მათი ძირითადი შედეგები კი სოციალური სიკეთეა.** არაეთიკური, უსამართლო, არათავისუფალი და ა.შ. საზოგადოება, კოლექტივი, პიროვნება არ შეიძლება ცივილიზებული და ჰუმანური, ადამიანთა იდეალის შესატყვისი, ბედნიერი იყოს. საბოლოოდ გვექნება საზოგადოება, რომელსაც აკლია კეთილდღეობისათვის აუცილებელი ელემენტები.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სიმდიდრის დასახელებილი სახეობები მონაწილეობენ საზოგადოების განვითარების დონის ჩამოყალიბებაში, ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების პირობათა შექმნაში, მისი ცივილიზებულობის, ადამიანურობის, ხარისხის გარანტიების შექმნაში. ისინი არანალებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სიმდიდრის ეკონომიკური სახეობები. საზოგადოება განვითარების მით უფრო მაღალ დონეზეა, რაც უფრო მეტად არსებობს ეს ფასეულობები და რელიზდება ისინი ცხოვრებაში. ამას პირველ რიგში უნდა აცნობიერებდნენ ქვეყნების ლიდერები, პოლიტიკოსები. მსოფლიოში მთლიანად ამ მხრივ გარკვეულ პროგრესს ვხედავთ, მაგრამ რჩება მრავალი პრობლემაც რომელთა გადაჭრა დაბრკოლებებს ხვდება. პროგრესული კაცობრიობის ძალისხმევა უთუოდ იქნება მიმართული მათი გადაჭრისაკენ. უნდა ველოდოთ, რომ ისინი აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს.

დასკვნა

ზემოთ გადმოცემულიდან გავაკეთებთ რამდენიმე ძირითად დასკვნას.

სიმდიდრის თეორია საჭიროებს **გაფართოებას და ფუნდამენტურ დებულებათა გაახლებას.** პირველ რიგში ფართო გაგებით სიმდიდრის შედგენილობაში უნდა გავითვალისწინოთ არაე-

[1] ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(ППС)_на_душу_населения
[2] https://gtmarket.ru/ratings/satisfaction-with-life-index/info
[3] https://gtmarket.ru/research/social-progress-index/info.

კონომიკური, უხილავი ფასეულობები, რომელთაც ადამიანებისათვის, საზოგადოებისათვის მოაქვს სარგებლობა. შემდეგ, სათანადოდ უნდა შეფასდეს სიმდიდრის **შექმნაში სრულიად და ნაწილობრივ უსასყოდლო, არავისგან აუნაზღაურებადი ბუნებრივი და ანტროპოგენური რესურსების როლი და ეკონომიკური შენაარსი, რომლებიც ქმნიან უსასყიდლო სოციალურ ენერგიას - დანახარჯებზე დამატებული პროდუქტის წყაროს.** უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მიმატებული პროდუქტია სიმდიდრის ზრდისა და დაგროვების წყარო.

განვითარებული საზოგადოების სიმდიდრე იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე დოვლათის წარმოება კაპიტალური დოვლათის თვისების შედეგად, რაც გამოიხატება იმაში, რომ მისი სამსახურის დრო მრავალჯერ აღემატება წარმოების დროს. ამასთან, მისი არამატერიალური ნაწილი მოხმარებისას არ ქრება, მხოლოდ შეიძლება მორალურად გაცვდეს. ასევე განვითარებული საზოგადოების საწარმოო ძალები აღემატება მის სამომხმარებლო ძალებს.

ახლანდელი ეკონომიკური სისტემის პირობებში **შექმნილი დოვლათის განაწილება არასამართლიანია** იმის გამო, რომ ეკონომიკური ძალაუფლების - წარმოების საშუალებათა კერძო მფლობელებს და მმართველობითი ფუნქციის შემსრულებლებს აქვთ შესაძლებლობა მიითვისონ მეტი, ვიდრე ეკუთვნით დოვლათის შექმნაში მათი წვლილის მიხედვით. სწორედ ამ შედეგად წარმოიქმნება საზოგადოებაში უკიდურესი ქონებრივი უთანაბრობა, რაც ამცირება სიმდიდრის გამოყენებისა და სარგებლობის პოტენციალს.

დოვლათის მოხმარება არარციონალურობით, დაბალი კულტურით, მფლანგველობით ხასიათდება, მომხმარებლების დიდი ნაწილში საჭირო ზომიერების არ არსებობის გამო.

საერთო კეთილდღეობა თანამედროვე პირობებში ჩამორჩება სიმდიდრის ზრდას სწორედ დოვლათის არასამართლიანი განაწილებისა და არარაციონალური მოხმარების შედეგად.

ხალხებისა და მთელი კაცობრიობის წინაშე დგას გამოწვევა გადალახულ იქნეს გარღვევა სიმდიდრის ზრდასა და კეთილდღეობის ამაღლებას შორის, რაც დაკავშირებული იქნება სიმდიდრის სამართლიან განაწილებასთან და რაციონალურ, ზომიერ და გონივრულ მოხმარებასთან, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მაღალ ეთიკურობასთან, ჰუმანურობასთან, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდისა და საერთო კეთილდღეობის ტემპების დაახლოებას და თანხვედრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი მალაშხია. მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია. ეკონომიკა, თბილისი,1995, 560 გვ.
2. Малашхия Г.М. Малая экономология. Нывые парадигмы экономической теории. Palmarium Academic Publishing. Саарбрюккен(Германия), 2018, с . 24.
3. Пеарце Давид (гл. ред) Словарь современной экономической теории перевод с англ. ИНФА- М., 1997, С. 608.
4. ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტ.1, ი.ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი , 2007, 504 გვ.
5. კ, მარქსი, კაპიტალი . ტ. 1 საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 19 54, 992 გვ.
6. Кларк Дж. Распределение богатства. Перевод с англ. Гелиос АРВ, М., 2000, с.368.

Wealth and Prosperity

Georgi Malashkhia
Professor of the Georgian Technical University (emeritus)

Summary

The paper sets out a new, alternative concept of wealth creation and growth.

The participation and role in the production of wealth of gratuitous (unpaid) resources, in whole or in part, are shown: natural - solar energy, climate, fertility of the earth, minerals, flora, fauna, etc., as well as anthropogenic, not disappearing when used, transferred by previous generations and new knowledge, experience, achievements of science, technology, innovative thought. The article proves the growth of wealth, the formation of profit - an added product due to the combination on an ever-increasing scale of the specified free resources with labor and means of production. It is confirmed that as a result of attracting an increasing amount of free social energy, the accumulation of capital (durable) goods, the time of consumption of which is many times longer than the time of their production, and also in view of the excess of the productive force of a developed society, its consumption power, the growth rate of wealth outstrips their rate creation.The lag of the general welfare from the growth of wealth is substantiated in view of the inequality of the distribution of wealth, the extreme inequality of the population in terms of wealth, as well as the irrational consumption of goods, the presence of an idle economy that does not serve the satisfaction of reasonable needs of the economy.

Key concepts: wealth, social energy, free resources, free social energy, added product, law of accumulation of wealth, idle economy, welfare.